

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო  
საკითხთა და ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი N 21

ხაშური

2018 წლის 17 სექტემბერი

13-30 სთ

სხდომის თავმჯდომარე ანა ხარებავა - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები: ცოტნე ნოზაძე, იმედა მეტრეველი, ნატო კიკაძე, ნოვე ტაბატაძე, გურამ  
მაზიაშვილი, ჯონდო კაპანაძე.

სხდომას ესწრებოდნენ : საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი მურმან  
ცენგერაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: ეთერ ხვედელიძე- მერიის ზედამხედველობის  
სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 7 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)

1. ხაშურის მუნიციპალიტეტში 2018 წელს შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა  
რაოდენობის შეთანხმების თაობაზე.

მომხს. ანა ხარებავა

2. სოფელ ქვიშეთში წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია-  
რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერიისთვის  
თანხმობის მიცემის შესახებ მერიიდან წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თაობაზე.  
მომხს. ანა ხარებავა

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ I საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის განმარტება ხაშურის მუნიციპალიტეტში 2018 წელს შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების თაობაზე მერიიდან წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე.

აზრი გამოთქვეს: ცოტნე ნოზაძემ, იმედა მეტრეველმა, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 7; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: განკარგულების პროექტი შეესაბამება კანონმდებლობას და წარდგენილი იქნეს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ II საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტის-ეთერ ხვედელიძის ინფორმაცია სოფელ ქვიშხეთში წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ მერიიდან წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე.

აღინიშნა, რომ ვინაიდან სოფელ ქვიშხეთში წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა (641 812 ლარი) არ აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს, გარიგების დადება საკრებულოს თანხმობას არ საჭიროებს.

აზრი გამოთქვეს: ჯონდო კაპანაძემ, ნოვე ტაბატაძემ, იმედა მეტრეველმა, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 7; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი მოიხსნას დღის წესრიგიდან და არ იქნას განხილული.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის  
თავმჯდომარე

ანა ხარებავა

